**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# კაოლინი

კაოლინი, სხვადასხვა ელფერის თიხიანი ქანი. კ. ჩინური სიტყვაა და ნიშნავს მაღალ ბორცვს. შედგება უმთავრესად მინერალ კაოლინიტისაგან Al4 Al4[Si4O10](OH)8. კ-ის აგრეგატები არის მიწისებრი, ფხვიერი, წმინდამარცვლოვანი, ცეცხლგამძლე. მინარევები ქანს აძლევს მოყვითალო, მოწითალო, მურა მტრედისფერ შეფერილობას. კ. წარმოიქმნება პირველადი ქანების გამოფიტვით, კაოლინიზაციით. არჩევენ კრისტალური ქანების გამოფიტვით წარმოქმნილ პირველად და პირველადი კ-ის გადალექვით წარმოქმნილ მეორეულ კ-ს. ცნობილია მეტამორფული წარმოშობის კ-ც. კ-ს იყენებენ ფაიფურის დასამზადებლად, პარფიუმერიაში, კერამ., ქაღალდის, რეზინის, საღებავების წარმოებაში და სხვ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი კ-ის საბადოებია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (მაკვანეთი, უჩხუბი, გოგოლაური), იმერეთში (ჯვარისა, სორმონი, ზარათი, გურნა, თამარისეული, ორპირი, ოჯოლა, შროშა), ცხინვალთან (ოჯორისწყლის ხეობა), შიდა ქართლში (ნაბაკევი, ლისა, ჩრდილეთი), ბოლნისის მუნიციპალიტეტში (დარბაზი) და სხვ.

***ვ. ზუხბაია***

***ნ. ფოფორაძე***